# ხაშურის მოამბე

№8-9(332-33) 14 მარტი, ორშაბათი, 2022 წელი


## „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობს

სოფელ ნაბახტევში, ზემო აძვისში, კლდისწყაროში, უწლევში, ბრილში, დუმაცხოვში, ახალუბანში, ქინძათში, მცხეთიჯვარში, ალში, გომში ადგილობრივებს ხვდებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანიმერის მოადგილე ზვიად ქურდაძეინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, საკებულოს




წევრები და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლები.

კრებებზე მოსახლეობა სოფლის საჭიროებებზე შეთანხმდა და პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: სოფელ ზემო აძვისში,სარიტუალო დარბაზის ნაწილში ამბულატორია მოეწყობა, ბრილში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდება, უწლევში-ნაპირსამაგრი კედლები მოეწყობა, ნაბახტევში გარე გამოყენების ტრენაჟორები დამონტაჟდება, ხოლო კლდისწყაროში გზები მოიხრეშება დუმაცხოვში, ახალუბანში და ალში სანიაღვრე არხები მოეწყობა, მცხეთიჯვარში-ატრაქციონები, ქინძათში-არტეზიული ჭა.

„გარდა „სოფლის პროგრამით“ გათვალისწინებული პროექტებისა, ვეცნობით პრობლემებს, რაც ადგილობრივებს აწუხებთ, მოხდება ამ პრობლემების შესწავლა და ეტაპობრივად მათი აღმოფხვრა, მინდა, ყველა სოფლის მაცხოვრებელს თავად შევხვდე, ვესაუბრო და



მომავალში პრიორიტეტები სწორედ მათი საჭიროების მიხედვით დავგეგმოთ“-განაცხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამართულ შეხვედრებზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება და ყველა სოფელს მოიცავს.

## მიულოცეს ქალთა საერთაშორისო დღე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა



სასწრაფო დახმარების (საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის) ხაშურის ფილიალის პერსონალს და ა(ა)იპ „ხაშურის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ თანამშრომლებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცეს.

„ფასდაუდებელია თითოეული თქვენგანის წვლილი ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. მადლობას გიხდით იმ თავდადებისა და მაღალი პროფესიონალიზმისთვის,რაც ყოველთვის საგრძნობია ჩვენი



მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვისა და სიცოცხლის გადარჩენის სადარაჯოზე,“- აღნიშნეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა მედიცინის მუშაკებთან შეხვედრისას.

თენგიზ ჩიტიაშვილმა და ნინო ლიპარტელიანმა 8 მარტი მიულოცეს და ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უსურვეს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ უხუცეს ქალბატონებს - ნინო გელაშვილს და მარიამ დოფიძეს. „ასაკოვანი ადამიანების ღვაწლის დაფასება ჩვენი პრიორიტეტი და ადამიანური მოვალეობაა“, - აღინიშნა უხუცეს ქალბატონებთან შეხვედრისას.

სარვამარტო ღონისძიებები მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

# ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და ანგარიშგება, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის № 21 დადგენილებით.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს 2021 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ შემდეგ ინფორმაციას:

1) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ათას ლარში

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | | | 2021 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | სულ | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 26313.45 | 7360.15 | 18953.30 | 27163,2 | 7310,14 | 19853,06 |
| გადასახადები | 16663,7 | 0.00 | 16663,7 | 17591,2 | 0.0 | 17591,2 |
| გრანტები | 8151,85 | 7360,15 | 791.70 | 7693,49 | 7310,14 | 383,35 |
| სხვა შემოსავლები | 1 497,90 | 0.00 | 1 497,90 | 1878,51 | 0.0 | 1878,51 |
| ხარჯები | 12878,09 | 206.40 | 12671,69 | 11478,39 | 156,73 | 11321,66 |
| შრომის ანაზღაურება | 1947.46 | 0.0 | 1947.46 | 1823,42 | 0.0 | 1823,42 |
| საქონელი და მომსახურება | 1803.00 | 176.60 | 1626.40 | 1617,09 | 126,93 | 1490,16 |
| პროცენტი | 375,01 | 0.0 | 375.01 | 65,88 | 0.0 | 65,88 |
| სუბსიდიები | 6389.60 | 0.0 | 6389.60 | 5989,65 | 0.0 | 5989,65 |
| გრანტები | 594,19 | 0.0 | 594,19 | 474,26 | 0.0 | 474,26 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 892.62 | 0.0 | 892.62 | 886,78 | 0.0 | 886,78 |
| სხვა ხარჯები | 876.21 | 29.80 | 846,41 | 621,32 | 29,8 | 591,52 |
| საოპერაციო სალდო | 13435.36 | 7153.75 | 6281.61 | 15684,81 | 7153,41 | 8531,4 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 15945.14 | 7513.62 | 8431.52 | 13277,21 | 7050,62 | 6226,59 |
| ზრდა | 16495.14 | 7513.62 | 8981.52 | 13847,28 | 7050,62 | 6796,66 |
| კლება | 550.00 | 0.0 | 550.00 | 570,07 | 0.0 | 570,07 |
| მთლიანი სალდო | -2509.78 | -359.87 | -2149.91 | 2407,6 | 102,79 | 2304,81 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | -2754.78 | -359.87 | -2394.91 | 2313,48 | 102,79 | 2210,7 |
| ზრდა | 0 | 0.0 | 0 | 2313,48 | 102,79 | 2210,7 |
| კლება | 2754.78 | 359.87 | 2394.91 | 0.00 | 0.00 | 0.00 |
| ვალდებულებების ცვლილება | -245.0 | 0.0 | -245.0 | -94,12 | 0.0 | -94,12 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 245.0 | 0.0 | 245.0 | 94,12 | 0.0 | 94,12 |
| ბალანსი | 0.00 | 0.0 | 0.00 | 0.00 | 0.00 | 0.00 |

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | | | 2021 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 26282,67 | 7646,7 | 18635,97 | 26608,93 | 4744,49 | 21864,44 |
| შემოსავლები | 23453,75 | 7646,7 | 15807,05 | 26308,93 | 4744,49 | 21564,44 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 589,22 | 0 | 589,22 | 300.0 | 0.0 | 300.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | 0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 22770,45 | 7681,49 | 15088,96 | 30110,14 | 5181,83 | 24928,31 |
| ხარჯები | 10553,33 | 100,31 | 10453,02 | 15401,3 | 123,23 | 15278,07 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 12217,12 | 7581,18 | 4635,94 | 14708,84 | 5058,6 | 9650,25 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0 | 0 | 0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | -89.68 | 0.0 | -89.68 | -437,17 | 0.0 | -437,17 |
| კლება | 89.68 | 0.0 | 89.68 | 437,17 | 0.0 | 437,17 |
| ნაშთის ცვლილება | -1005.2 | -161.2 | -844.0 | -3501,21 | -437,34 | -3063,87 |

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 26308,93 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | | | 2021 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| შემოსავლები | 26313.45 | 7360.15 | 18953.30 | 26308,93 | 4744,49 | 21564,44 |
| გადასახადები | 16663,7 | 0.0 | 16663,7 | 19258,4 | 0.0 | 19258,4 |
| გრანტები | 8151.85 | 7360.15 | 791.70 | 5402,63 | 4744,49 | 658.10 |
| სხვა შემოსავლები | 1 497,90 | 0.0 | 1 497,90 | 1 647,90 | 0,0 | 1 647,90 |

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 17591,20 ათასი ლარის ოდენობით

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | | | 2021 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები |
| გადასახადები | 16663,7 | 0,0 | 16663,7 | 17591,2 | 0,0 | 17591,2 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0,0 | 0,0 | 0.0 | 0,0 | 0,0 | 0.0 |
| ქონების გადასახადი | 2300.0 | 0,0 | 2300.0 | 2818,81 | 0,0 | 2818,81 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1345.0 | 0,0 | 1345.0 | 1332,13 | 0,0 | 1332,13 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0.0 | 0,0 | 0.0 | 496,13 | 0,0 | 496,13 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 22.0 | 0,0 | 22.0 | 67,06 | 0,0 | 67,06 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების | 65.0 | 0,0 | 65.0 | 201,19 | 0,0 | 201,19 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 868.0 | 0,0 | 868.0 | 722,31 | 0,0 | 722,31 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 14363,7 | 0,0 | 14363,7 | 14772,39 | 0,0 | 14772,39 |

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 7693.49 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| გრანტები | 8151.85 | 7693,49 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | 0.0 | 0.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 8151.85 | 7693,49 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 449.06 | 329,88 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0,0 | 0,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 449.06 | 329,88 |
| სპეციალური ტრანსფერი | 0.0 | 0.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 7702.80 | 7363,61 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 6232.10 | 6232,06 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 904.0 | 904.0 |
| მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი | 0.0 | 0.0 |
| მგფ-ის თანადაფინსება | 566,7 | 158,35 |
| სხვა ტრანსფერები | 0.0 | 69,20 |

განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1878.51 ათასი ლარის ოდენობით .

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| სხვა შემოსავლები | 1497.9 | 1878,51 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 250.0 | 227,97 |
| პროცენტები | 0,0 | 0.00 |
| დივიდენდები | 0,0 | 0.00 |
| რენტა | 250.0 | 227,97 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 240.0 | 223,57 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 10.0 | 4,41 |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | - | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 290.4 | 228,28 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 250.4 | 197,71 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 50.0 | 56,68 |
| სატენდერო მოსაკრებელი | 0,0 | 0,01 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.4 | 0.6 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 0,0 | 0,0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 200.0 | 140,42 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 40.0 | 30.56 |
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 40 | 30,56 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 957.5 | 1367,53 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 0.0 | 0.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 0.0 | 54,74 |

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | | | 2021 წლის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 12878.09 | 206,4 | 12671.69 | 15401,3 | 123,23 | 15278,07 |
| შრომის ანაზღაურება | 1947.46 | 0.0 | 1947.46 | 2571,18 | 0.0 | 2571,18 |
| საქონელი და მომსახურება | 1803.00 | 176,6 | 1626.40 | 2425,8 | 123,23 | 2302,57 |
| პროცენტი | 375,01 | 0.0 | 375.01 | 921,08 | 0.0 | 921,08 |
| სუბსიდიები | 6389.60 | 0.0 | 6389.60 | 7383,38 | 0.0 | 7383,38 |
| გრანტები | 594,19 | 0.0 | 594,19 | 361,77 | 0.0 | 361,77 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 892.62 | 0.0 | 892.62 | 799.80 | 0.0 | 799.80 |
| სხვა ხარჯები | 876.21 | 29.80 | 846.41 | 938,29 | 0.0 | 938,29 |

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

| კოდი | დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 51,7 | 7,7 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 14495.32 | 12732,94 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | იან.30 | 1,3 |
| 04 00 | განათლება | 212,52 | 177,33 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1734.30 | 928,01 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სოციალური უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 |

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 570.07 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 550.00 | 570,07 |
| ძირითადი აქტივები | 0,0 | 253,89 |
| არაწარმოებული აქტივები | 550.00 | 316,18 |
| მიწა | 550.00 | 316,18 |

შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 3230.0 | 2505,0 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 3230.0 | 2505,0 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2606.0 | 2344 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 624,0 | 161,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0,0 | 0,0 |
| 702 | თავდაცვა | 133.0 | 125 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 14401,0 | 12692,0 |
| 7045 | ტრანსპორტი | 9745,0 | 9113,0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 9745,0 | 9113,0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში | 4656.0 | 3579,0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 1429,0 | 1421,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 1429,0 | 1421,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1971.0 | 1737,0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0,0 | 0,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 1029.0 | 892 |
| 7064 | გარე განათება | 942.0 | 845 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 0,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 108,0 | 111,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 108,0 | 111,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 4633.0 | 3409,0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 1484,0 | 1198,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 2959,0 | 2086,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 190,0 | 125,0 |
| 709 | განათლება | 2573,0 | 2331,0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 2476,0 | 2255,0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 97.0 | 76,0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 0,0 | 0,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 1141,0 | 1093,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 0,0 | 0,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 1,0 | 1,0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 38,2 | 35,0 |
| 7106 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 1020.8 | 1006,0 |
| 81. | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 81 | 51 |

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

| | დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| | საოპერაციო სალდო | 13435.36 | 15684,81 |
| | მთლიანი სალდო | - 2509.78 | -2407,6 |

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 2313,48 ათასი ლარის ოდენობით

ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 2313,48 ათასი ლარი.

| | დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| | ფინანსური აქტივების ცვლილება | 2754.78 | 2313,48 |
| | ზრდა | 0,0 | 2313,48 |
| | ვალუტა და დეპოზიტი | 0,0 | 2313,48 |
| | კლება | 2754.78 | 0.00 |
| | ვალუტა და დეპოზიტი | 2754.78 | 0.00 |

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა - 94,12 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017-2018 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

| პროგრამის კლასიფიკაციის კოდი: | დასახელება | 2021 წლის გეგმა | 2021 წლის ფაქტი |
|---|---|---|---|
| | ვალდებულებების ცვლილება | -245 | -94,12 |
| | ზრდა | 0.0 | 0.0 |
| | საშინაო | 0.0 | 0.0 |
| | საგარეო | 0.0 | 0.0 |
| | კლება | 245 | 94,12 |
| | საშინაო | 245 | 94,12 |
| | საგარეო | 0 | 0 |

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

| პროგრამული კოდი | დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 51,70 | 7,70 | 14,89 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 14495,32 | 12732,94 | 87,84 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,30 | 1,30 | 100,00 |
| 04 00 | განათლება | 212,52 | 177,33 | 83,44 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1734,30 | 928,01 | 53,51 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | - | - | - |

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების მიხედვით შემდეგია:

| ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| პროგ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2021 ფაქტი | % |
| სულ | მუნიციპალიტეტის ასიგნებები | 25419.78 | 100.00 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 2630.46 | 10,35 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 14429.23 | 56.76 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1420.76 | 5,59 |
| 04 00 | განათლება | 2330.97 | 9,17 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 3409.08 | 13.41 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1199.28 | 4,72 |




მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 25325.67 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (29373.24) 86.22 პროცენტია. აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება (22770.45) 2555.22 ათასი ლარით, ხოლო 2019 წლის - (23241.55) 2084.12 ათასი ლარით.

ამდენად დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 17 476.2 ათასი ლარის ოდენობით.

3) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები წლის დასაწყისისა და დასასრულისთვის;

მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის სახით ირიცხებოდა 3 424.2 ათასი ლარი. (ადგილობრივი 2 867, 2 ათასი ლარი, დელეგირებული 71, 0 ათასი ლარი, მთვარობა 486.0 ათასი ლარი). ხოლო წლის ბოლოსათვის დარჩენილი ნაშთი შეადგენს 5 738.2 ათას ლარს (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი 5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული 71.9 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 588.6 ათასი ლარი). 2021 წლის არებული ვალდებულებებიდან მიმართული ნაშთი 2022 წელს შეადგენს 2196,70 ათას ლარს, ამასთან გათვალისწინებულ იქნა საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 პუნქტი „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება’’.

| 2022 წლის 1 იანვრისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ | | |
|---|---|---|
| N | დასახელება | თანხა (ლარი) |
| 1 | შემოსავალი ადგილობრივი ბიუჯეტიდან | 5077743,32 |
| 2 | მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსაცორციელებლად | 71886,08 |
| 3 | საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის #147 განკარგულება (საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება) | 0,0 |
| 4 | საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის #147 განკარგულება (საჯაო სკოლების რეაბილიტაცია) | 1731,8 |
| 5 | საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის #168 განკარგულება (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 102896,6 |
| 6 | საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #2685 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 222555,12 |
| 7 | საქართველო მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის #185 დადგენილება (მუნიციპალური განვითარების ფონდი) | 3014,27 |
| 8 | საქართველოს მთავრობის 2020 წლის 8 მარტის #558 განკარგულება | 5347,15 |
| 9 | საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის #27 განკარგულება (საჯარო სკოლების რეაბილიტაცია) | 7230,23 |
| 10 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 23768,77 |
| 11 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის #2752 განკარგულება (სოფლის მხარდაჭეროს პროგრამა) | 92586,75 |
| 12 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვარს #96 განკარგულება | 79487,42 |
| 13 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვარს #13 განკარგულება (საჯარო სკოლები რეაბილიტაცია) | 11921,99 |
| 14 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #557 განკარგულება (სტიქიის პრევენცია) | 0,89 |
| 15 | საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულება | 96,63 |
| 16 | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 33057,03 |
| 17 | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #2577 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 3464,18 |
| 18 | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის #1213 განკარგულება (სტიქია) | 0,24 |
| 19 | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 აპრილის #693 განკარგულება | 0,49 |
| 20 | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის #1401 განკარგულება | 0,92 |
| 21 | საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 0,11 |
| 22 | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის #1251 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 0,31 |
| 23 | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის #175 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 0,08 |
| 24 | საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულება (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 0,14 |
| 25 | საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკარგულება (სტიქია) | 0,2 |
| 26 | საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის #39 განკარგულება (რეგიონალური განვითარების ფონდი) | 0,22 |
| 27 | საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის #506 განკარგულება (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 0,78 |
| 28 | საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის #201 განკარგულება (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 1403,24 |
| | სულ | 5738194,96 |

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, მიმდინარე წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 29 618.2 ათასი ლარით, რაც 12 142.0 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს .

2020 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები), მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

2020 წელს ახალი კორონავირუსის გავრცელებამ მნიშვნელოვანი რყევები გამოიწვია გლობალურ ეკონომიკაში. ბუნებრივია პანდემიამ ეკონომიკური რეცესია გამოიწვია საქართველოშიც, რის შედეგადაც მივიღეთ რეალური ეკონომიკური კლება 6,8%-ის ოდენობით.

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი დამტკიცდა გასული წლის დეკემბერში, რა დროსაც საქართველოში ახალი კორონავირუსის ჩ VI -19 გავრცელების მაჩვენებელი ყველაზე მაღალ ნიშნულზე იყო და შესაბამისად მნიშვნელოვანი შეზღუდვები მოქმედებდა, რაც დიდ გავლენას ახდენდა ეკონომიკის განვითარებაზე.

2020 წლის ბოლოსთვის არსებული ვითარების გათვალისწინებით ეკონომიკის მყისიერი აღდგენის მოლოდინები არ არსებობდა და 2021 წლის ბიუჯეტიც დაიგეგმა მეტწილად პანდემიის მართვისა და მისი გავრცელების შესაკავებლად დაწესებული შეზღუდვების ეფექტის ნაწილობრივ გასანეიტრალებლად. ბიუჯეტი, შეზღუდული ფისკალური რესურსის მიუხედავად, ითვალისწინებდა მოსახლეობის და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დაფინანსებას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის გათვალისწინებით, იმავე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს შემდეგნაირად:

2021 წელი საკმაოდ მძიმე ეკონომიკური ტენდენციებით დაიწყო და იანვარში რეალური ეკონომიკის კლებამ 11,5%, ხოლო თებერვალში 5,1% შეადგინა. ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში დადებითი დინამიკა პირველად მარტში დაფიქსირდა, თუმცა ჯამურად, პირველ კვარტალში ეკონომიკური კლების მაჩვენებელმა 4,1% შეადგინა.

ეკონომიკური პარამეტრები რადიკალურად შეიცვალა აპრილიდან, რა დროსაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ექსპორტ-იმპორტის, დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვების, საფინანსო სექტორის ზრდის, წმინდა ფულადი გზავნილების და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები.

დადებითი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის ივლისში განახლდა მაკროეკონომიკური პროგნოზები და განხორციელდა ცვლილებები 2021 წლის ბიუჯეტში.

განახლებული პროგნოზების საბაზისო სცენარის მიხედვით:

- ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 4,3%-დან გაიზარდა 7,7%-მდე;
- მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი 3,8%-ის ნაცვლად განისაზღვრა 7,5%-ის ოდენობით;
- მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი 53,4 მლრდ ლარიდან გაიზარდა 57,2 მლრდ ლარამდე;
- ბიუჯეტის დეფიციტი 7,6%-დან შემცირდა 6,9%-მდე;
- მთავრობის ვალის მაჩვენებელი 60,8%-დან შემცირდა 54,6%-მდე.

საბიუჯეტო ცვლილებები და განახლებული პროგნოზები ეფუძნებოდა 5 თვის მონაცემებს, თუმცა პროგნოზირებულზე მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპები შენარჩუნდა შემდგომ პერიოდშიც და 10 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 10.5% შეადგინა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზი განისაზღვრა 10,0%-ის ოდენობით.

განვლილი პერიოდის ფაქტიური მაჩვენებლების და არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებელი 8,0%-ს შეადგენს.

ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზების ზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზიც და მიმდინარე წლის ივლისში პროგნოზირებული 57,2 მლრდ ლარის ნაცვლად, განახლებულ მაკროეკონომიკურ სცენარში პროგნოზირებულია 58,5 მლრდ ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრები სრულ თანხვედრაშია 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის პარამეტრებთან.

2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიურმა საკასო შესრულებამ 31 157.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (26 863.5 ათასი ლარი) 116 %-ს შეადგენს, რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 12 ივლისის 04-03/88272 წერილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებლები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- 2021 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 113 400.0 ათას ლარს, საიდანაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2021 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 1.29%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 14 363.7 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წელს ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 300.0 ათასი ლარი და შესაბამისად სულ ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის 2021 წელსგადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 16 663.7 ათას ლარს.

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა (16 663.7 ათასი ლარი) შესრულდა - 102% (ფაქტი 17 591.2 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი გეგმა (14 363.7 ათასი ლარი) შესრულდა 102.85 %- ით ( ფაქტი 14 772.4 ათასი ლარი), ქონების გადასახადი გეგმა 2300,0 ათასი ლარი ფაქტი 2818,8 ათასი ლარი საწარმოთა ქონების გადასახადი გეგმა (1345.0 ათასი ლარი) შესრულდა 99 %-ით (1 332.1 ათასი ლარი), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი გეგმა 22.0 ათასი ლარი) ფაქტი 67.2 ათასი ლარი - 304.8%, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმა (გეგმა 65,0 ათასი ლარი) (ფაქტი 201.2 ათასი ლარი) 309.5% , არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმა (868.0 ათასი ლარი) (ფაქტი 722.3 ათასი ლარი) -83.2%. საბიუჯეტო კოდექსის მე-18 მუხლი 1- პუნქტის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება მოთხოვნათა შესაბამისად„1. შესაბამისი დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ზევით გადახდაზე ვალდებულების აღება დაუშვებელია.'' გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული მოთხოვნა და გეგმა არ იქნა გაზრდილი რამაც გამოიწვია გადაჭარბება 927,3 ათასი ლარით.

სხვა შემოსავლების გეგმა (1 497.9 ათასი ლარი) შესრულდა - 125.41%-ით (1 878.5 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (გეგმა 240,0 ათასი ლარი) – 93.15%-ით (ფაქტი 223.6 ათასი ლარი),მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის გეგმა (50,0 ათასი ლარი) ფაქტი 56.7 ათასი ლარი - 113.37%-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა (200,0 ათასი ლარი) (ფაქტი 140.4) -70.2%-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან გეგმა (957.5 ათასი ლარი) (ფაქტი 1 367.5 ათასი ლარი) – 142.8%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან გეგმა 10.0 ათასი ლარი ფაქტი 8.2 ლარი – 81.7% ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა 550.0 ათასი ლარი ფაქტი 570.5 ათასი ლარი შესრულდა – 103.7%-ით.

2021 წლის მდგომარეობით შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 27.74%-ს (7 963.5 ათას ლარს), „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225.0 ათასი ლარი, მიღებულია – 225.0 ათასი ლარი. ღნიშნული ინფორმაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ.გვერდზე კჰასჰური.ორგ.გე

ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის 2685 განკარგულების „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ'' ხაშურის მუნიციპალიტეტის პროექტების მთლიანი ღირებულება სულ 6560,08 ათასი ლარია,აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება შეადგენს 6232,06 ათას ლარს, ხოლო ადგილობერივი ბიუჯეტი 328,01 დასრულებულია სოფელ სავანისუბანში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები, სოფელ მონასტერში ბეტონის გზის დაგების, დაბა სურამში (პარკის უკან) მდინარე სურამულაზე მარჯვენა ნაპირსამაგრი კედლის მშენებლობის, ყორანქედის მონასტერში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის (სოფელი კრისხევი) სამუშაოები, სოფელ დუმაცხოვში მისასვლელი გზის მოასფალტების, სოფელ რუსაანთუბანში ბეტონის გზის დაგების და სოფელ ქინძათში გზის მოასფალტების სამუშაოები. ხოლო დასრულებულია პირველი ეტაპის სამუშაოები სოფელ ნაბახტევში მისასვლელი გზის და სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტების, რომლებიც გარდამავალი პროექტებია 2022 წელში, სულ 2021 წელს ათვისებულია ანუ საკასო ხარჯი შეადგენს 6009.51 ათასი ლარი, დასრულებულია ცხრა პროექტი აქედან ორი გარდამავალი პროექტია.

სახელმწიფო პროგრამა განახლებული რეგიონების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 26.04.2021 წლის 185 დადგენილების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო გრანტი ქალაქ ხაშურში წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. პროექტის ღირებულება შეადგენს 5667 ათას ლარს. მიღებულია 161.6 ათასი ლარი ხოლო საკასო ხარჯი შეადგინა 158.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 თებერვლის 168 განკარგულების შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საფუძველზე, მთავრობის მიერ მიმდინარე წელს გამოყოფილია 904,0 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების წილი შეადგენს 494,8 ათასი ლარს. ამ ეტაპზე შესრულებულია 66 პროექტი, თანხით 909,4 ათასი ლარი, მიმდინარეობს დაგეგმილი პროექტებით განსახორციელებელი სამუშაოები. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 802,96 ათ ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის 147 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 69,2 ათასი ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, (დაბა სურამში 1 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია) მიღებული დაფინანსება შეადგენს 67.5 ათასი ლარს, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 118,8 ლარი.

სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები''-ს დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის 185 დადგენილებით, განსახორციელებელი პროგრამის პროექტი - „ქალაქ ხაშური, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების'' განსახორციელებლად მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მუნიციპალიტეტს გრანტის სახით გადაურიცხავს 566,7.00 ათასი ლარს, აღნიშნული თანხით გაზრდილ იქნა საბიუჯეტო ასიგნებები მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე და მოქმედი კანონის შესაბამისად. მიღებული დაფინანსება შეადგენს 161.6 ათასი ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 158.6 ათასი ლარი.

2021 წლის მდგომარეობით გადასახდელების საკასო შესრულებამ

25 419.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 85,96%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 78.23% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 10,34%), თავდაცვა - 94.10% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,49%), ეკონომიკური საქმიანობა - 66,08% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 37,48%), გარემოს დაცვა - 99.42% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 5,58%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 88.14% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 6,83%), ჯანმრთელობის დაცვა - 98.28% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0.417%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 74.34% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 13,41), განათლება -90.59% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 9,16%), სოციალური დაცვა - 98.40% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 4,49%).

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა:

- შრომის ანაზღაურება ათასი ლარი 1823.42(93.63%);
- საქონელი და მომსახურეობა 1617.09 ათასი ლარი (92.12%);
- პროცენტი 65.88 ათასი ლარი (%);
- სუბსიდია 5989.65 ათასი ლარი (93,74%);
- სოციალური უზრუნველყოფა 886.78 ათასი ლარი (99.35%);
- სხვა ხარჯები 621.32 ათასი ლარი (70.91%);
- გრანტი 474.26 ათასი ლარი (79.82%);
- არაფინანსური აქტივების ზრდა 13847.28 ათასი ლარი (83.95%).

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ზ) პუნქტის შესაბამისად „ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.გ“ და „ბ2.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლები შემდეგია გეგმა 6497,47 ათასი ლარი, ფაქტობრივი, საკასო ხარჯი 6097,66 ათასი ლარი (93,85%) (ხოლო ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 53.12%, მთლიან ბიუჯეტში 23,99%), .

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2630,46 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3362,46 ათასი ლარი) 78,23 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 606,80 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1737,50 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 124,97 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 124,97 ათასი ლარი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: 161,19 ათასი ლარია გეგმა კი 623,89 ათასი ლარი.

4) ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის №21 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნა, სარეზერვო ფონდი და განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. საკასო ხარჯმა შეადგინა 27,72 ათასი ლარი, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია შემდეგი ღონისძიებები:

1) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 29 ივნისის 84.84211808 ბრძანებით - ხაშურის

რაიონის სოფელ კლდისწყაროში მცხოვრები მარტოხელა მშობელის ფიქრია გელაშვილისათვის დახმარების გაწევის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. (თანხა 500 ლარი).

2) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 ივლისის 84.84211979 ბრძანებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი 6 ოჯახისათვის სამშენებლო მასალების შესყიდვის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. (თანხა 22 861.97ლარი).

3) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 15 დეკემბრის 84.84213496 ბრძანებით - ხაშურის

მუნიციპალიტეტში ცხვირაშვილის 11-ში მცხოვრები სოციალურად დაუცველი თინათინ ნოზაძისათვის დახმარების გაწევის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. (თანხა 200 ლარი).

4) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 დეკემბრის 84.842135612 ბრძანებით - ხაშურის

მუნიციპალიტეტის სოფელ ბიჯნისში წყლის სათავე ნაგებობის საქლორატოროსთვის თხევადი პოლიალუმინიუმ ქლორის შესყიდვის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ. (თანხა 4 154 ლარი).

სულ ჯამში 2021 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გახარჯულია 27 715.97 ლარი.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის ფონდიდან ანაზღაურებული თანხა მოქალაქე თ. გრიგალაშვილის და მიყენებული ზიანის ანაზღაურება (2007 წლიდან) 1,19 ათასი ლარი, რაც გეგმის 1,60 ლარის 74,48 % -ია.

ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საკასო ხარჯი შეადგენს 31,2 ათას ლარს თანახმად დანართის

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | დაბა სურამში ზინდისის ფერდობის მოპირდაპირე მხარეს ბაიანთხევის მთის მხარეს სასტუმროს მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით | | |
| | თანხის მიმღების დასახელება | გადახდილი თანხა | დანიშნულება |
| | ფ/პ ლელა მაღლაკელიძე | 350 | 100 ლარი არის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხა და 250 ლარი ექსპერტიზის თანხა |
| | ფ/პ მზია გრიგალაშვილი | 350 | 100 ლარი არის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხა და 250 ლარი ექსპერტიზის თანხა |
| | ფ/პ მარინე ჩიტაძე | 350 | 100 ლარი არის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხა და 250 ლარი ექსპერტიზის თანხა |
| | ი/მ დარეჯან გელაშვილი | 350 | 100 ლარი არის სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის თანხა და 250 ლარი ექსპერტიზის თანხა |
| | ჯამი | 1400 | |
| 2 | სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით | | |
| | თანხის მიმღების დასახელება | გადახდილი თანხა | დანიშნულება |
| | შპს აქტივ გრუპი | 29800,25 | 29254,25 შპს "აქტივ გრუპი"-ს სასარგებლოდ გადახდილი თანხა 546 ლარი ბაჟის თანხა |

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაიფარა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 359.4 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 198.31 ლარს სულ 557.71 ლარს. 2022 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის 51.34 ლარის და პროცენტის 24.33 ლარის სულ 75.67 ლარის დაფარვა. 01.01.2022 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 128,35 ლარს, ხოლო პროცენტი 133,87 ლარს სულ 262,22 ლარი, სულ გადასახდელი 2022 წლიდან ძირი 231,05 ლარი, პროცენტი 64.44 ლარი. სულ გადასახდელია 295,49 ლარი. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა „ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია’’ აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა 904,3 ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) -271,2 ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 180,9 ლარი ანაზღაურებულია. სესხის მოცულობა კი შეადგენს (50%) 452,14 ლარს, ხოლო სესხის გადასახდელი პროცენტი - 282,18 ლარს სულ 734,32 ლარი. 2022 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის 47,73 ლარის და პროცენტის 34,38 ლარის სულ 82,10 ლარის დაფარვა. 01.01. 2022 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 118,17 ლარს, ხოლო პროცენტი 171,37 ლარს სულ 289,54 ლარს. სულ გადასახდელი 2022 წლიდან ძირი 333,97 ლარი, პროცენტი 110,82 ლარი სულ გადასახდელია 444,79 ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2018 წლის „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდა „ქ ხაშურში საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა’’ აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 6443,2 ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) 1932,9 ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 1288,6 ლარია, აქედან 2019-2020-2021 წლებში ანაზღაურებული იქნა თანახმად ხელშეკრულების და შეადგენს 1166,79 ლარს. სულ სესხის მოცულობა შეადგენს (50%) 3221,6 ლარს, რომლის გადახდაც გათვალისწინებულია გეგმა-გრაფიკის შესაბამისად 2022 წლიდან. აქედან 2022 წელს გადასახდელი ძირი 181,32 ლარია, ხოლო პროცენტი - 705,51 ლარია, სულ 886,83. სულ გადასახდელი ძირი 2022 წლიდან 3221,61 ლარი, პროცენტი 1934,19 ლარი, სულ 5155,80 ლარი. პროექტის 2021 წელს დაუსრულებლობის გამო არსებული 2021 წლის ასიგნებიდან ნაშთი მიმართულ იქნა 2022 წლს, ამიტომ გათვალისწინებული გეგმა 2022 წლის ბიუჯეტში დაგეგმილ იქნა აღნიშნული არსებული 2021 წლის ნაშთის გამოკლებით ძირი 261,10 ლარი და პროცენტი 504,24 ლარი, სულ 765,34 ლარი, ამჯერად დანარჩნი სხვაობა მიმართული იქნება 2022 წლის ნაშთიდან აღნიშნული ვალდებულებების დასაფარად. ანუ ძირი 176,08 ლარი და პროცენტი 416,84 ლარი. სულ 2022 წლის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის სესხის ძირი გადახდილია 246,53 ლარი, გადასახდელია 3786,63 ლარი, პროცენტი გადახდილია 270,21 ლარი, გადასახდელია 2109,45 ლარი სულ გადახდილია

ძირი და პროცენტი 517,51 ლარი, ანუ გადასახდელია 5896,08 ლარი.

სულ 2021 წელს გადახდილი სასესხო ვალდებულებებიდან გადახდილია პროცენტი 65,88 ათასი ლარი (გეგმის 17,57%), ვალდებულებების კლების მუხლით კი გადახდილი ძირი შეადგენს 94,12 ათას ლარს (გეგმის 38,42%).

საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშში ვაფიქსირებთ პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობას და რადგან ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს განვმარტავთ: ვინაიდან პროექტის დასრულება იგეგმებოდა 2021 წლის ბოლომდე, თუმცა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხდა პროექტის დასრულება შესაბამისად გამოყოფილი ასიგნება სრულად ვერ იქა ათვისებული.

*შენიშვნა: თანხის გადახდის დღისათვის, გადასახდელი დარიცხული საპროცენტო თანხა იცვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად, ამასთან გადასახდელი ძირითადი თანხა არ იცვლება, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდის დღის დადგომამდე.

5) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობა, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14429,23 ათასი ლარით, რაც გეგმის 88,14 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 16371.58 | 14429,23 | 88,14 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა | 9744.82 | 9113,02 | 93,52 |
| 02 01 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია | 9326,02 | 8704,1 | 94,89 |
| 02 01 02 | შიდა გზების მოვლა პატრონობა | 340 | 338,82 | 99,65 |
| 02 01 03 | თვითმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარებისა და საგზაო ნიშნების მოწესრიგება | 78,79 | 70,11 | 88,98 |
| 02 02 | წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1028,79 | 892,5 | 86,75 |
| 02 02 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 866,51 | 785,65 | 90,67 |
| 02 02 01 01 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია | 791,51 | 713,13 | 90,1 |
| 02 02 01 02 | წყლის სათავე ნაგებობების მოვლა შენახვა | 75,0 | 72,52 | 96,7 |
| 02 02 02 | საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია | 162,28 | 106,85 | 65,84 |
| 02 02 02 01 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა და რეაბილიტაცია | 6,89 | 6,83 | 99,07 |
| 02 02 02 02 | სანიაღვრე არხების მოწყობა და გაწმენდა | 155,38 | 100,01 | 64,37 |
| 02 03 | გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპუატაცია და მოვლა პატრონობა | 941,95 | 844,71 | 89,68 |
| 02 03 01 | გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | 716,95 | 621,05 | 86,62 |
| 02 03 02 | გარე განათების სისტემების მოვლა პატრონობა | 225 | 223,65 | 99,4 |
| 02 04 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 204,44 | 198,67 | 97,18 |
| 02 05 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1158,65 | 724,72 | 62,55 |
| 02 05 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 1158,65 | 724,72 | 62,55 |
| 02 05 01 01 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების და სპორტული მოედნების მოწყობა | 577,87 | 318,19 | 55,06 |
| 02 05 01 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია | 466,78 | 294,1 | 63,01 |
| 02 05 01 03 | ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები | 70,0 | 69,77 | 100 |
| 02 05 01 04 | სასაფლაობის მოვლა-პატრონობა | 44,0 | 42,65 | 96,93 |
| 02 06 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 1633,49 | 1271,51 | 77,84 |
| 02 07 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | 598,89 | 405,28 | 67,67 |
| 02 08 | ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია. | 1060,55 | 978,83 | 92,29 |

რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი მოსახლე, დამსვენებელი მათ შორის ტურისტი. ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები: სოფელ ტაშისკრიდან სოფელ ქვიშხეთამდე გზა (3,2 კმ), რაც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელია მიმდებარე სოფლების, ადმინისტრაციულ ცენტრთან. საერთო ჯამში ისარგებლებს 550 ბენეფიციარი. დაბა სურამის ქუჩების მოასფალტება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საკურორტო სეზონზე ადგილობრივ ბიზნესს, სულ ისარგებლებს მათიაშვილის ქუჩის (400გრ/მ) 120 ბენეფიციარი, თაყაიშვილის ქუჩის (340 გრ/მ) 140 ბენეფიციარი, ამაღლების ქუჩის (400გრ/მ) 100 ბენეფიციარი, სარაჯიშვილის ქუჩის (250 გრ/მ) 280 ბენეფიციარი, ასევე სოფელ ხალებთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის (108 გრ/მ) 120 ბენეფიციარი. ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმოული სამუშაოები, ასევე ქალაქის ქუჩების, დაბა სურამისა და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან (თითოეული ტერიტორიული ორგანოში შემავალი სოფლები) დამაკავშირებელი შიდა გზების სათანადო მდგომარეობაში მოვლა-შენახვა.

გზებზე ხორციელდება საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის, ასევე დამსვენებლებისათვის საკურორტო სეზონზე მეტი უსაფრთხოება და საგზაო მოძრაობის წესების დაცვა.

2020 წლის გარდამავალი პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოფელ დიდ ფლევში სასმელი წყლის ჭაბურღილის, სატუმბი სადგურის, სათავე ნაგებობის და ქსელის მოწყობის სამუშაოების დასრულება, რითაც ისარგებლებს 348 ბენეფიციარი

ასევე ხორციელდებოდა დაბა სურამში ორხევის წყლის სათავე ნაგებობის, ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, წრომში სათავე ნაგებობის, წაღვლში სათავე ნაგებობის, ქვიშხეთში სათავე ნაგებობის, ალში სათავე ნაგებობის მოვლა-პატრონობა, ასევე ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობების და წყალმომარაგების სისტემის მოვლა-პატრონობა.

სოფელ ალში, ბრილში (115 გრ/მ, 80 ბენეფიციარი) სოფელ ბეკამში სანიაღვრე არხების მოწყობა/რებილიტაცია, დაიგეგმა, თუმცა პროექტი სატენდერო პროცედურების შესაბამისად ვერ დასრულდა 2021 წელს, ამდენად საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშში პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, რადგან აღემატება 30%-ს განვმარტავთ პროექტის განხორციელება მიმართული ნაშთით დაიგეგმა 2022 წელს ასევე განხორციელდეს სანიაღვრე არხების წმენდა და რეაბილიტაცია, ხოლო წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

შესაბამისად მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. პროგრამიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებები, კერძოდ დამონტაჟდა 8 ლიფტი რითაც შეიქმნა კომფორტული გარემი და ამით ისარგებლებს ბენეფიციარი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა, კერძოდ მოეწყობა ე.წ მინი სტადიონები ქალაქ ხაშურში იმერეთის ქ-ზე, ქალაქ ხაშურში ე.წ შინდარის დასახლებაში,

სოფელ წრომში,დასრულდება სოფელ ბეკამში მიმდინარე სპორტული მოედნის მოწყობა. ასევე დიდ ფლევში 200 ბენეფიციარი, სოფელ წაბლოვანაში 80 ბენეფიციარი,სოფელ ახალუბანში 30 ბენეფიციარი, ჭალისუბნის დასახლებაში ყოფილი აგურისქარხნის ტერიტორიაზე მოწყობის 700 ბენეფიციარი სადაც მოეწყობა მინი სტადიონები. საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშში პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, რადგან აღემატება 30%-ს განვმარტავთ სატენდერო პროცედურებიდან გამომდინარე 2021 წელს დაგეგმილი პროექტები ვერ შესრულდა 2021 წელს, ამდენად მიიმართა ნაში 2022 წელს (წაბლოვანა, ახალუბანი)

მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა, კეროდ ქალაქ ხაშურში ფარნავაზის, თამარ მეფის იმერეთის და თევდორე მღვდლის ქუჩებზე მოეწყობა პარკები და სკვერები,ასევე დაბა სურამში ჩუმათელეთის დასახლებაში ატრაქციონების მოწყობა 400 ბენეფიციარი და ტერიტორიის შემოღობვა სოფელ ზეკოტაში გარე ტრენაჟორების მოწყობა 40 ბენეფიციარი. დაბა სურამში ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია (ბენეფიციარი 400), რითაც ასევე ისარგებლებს ზაფხულის სეზონზე დამსვენებლები. საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშში პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, რადგან აღემატება 30%-ს განვმარტავთ სატენდერო პროცედურებიდან გამომდინარე 2021 წელს დაგეგმილი პროექტები ვერ შესრულდა 2021 წელს, ამდენად მიიმართა ნაში 2022 წელს (ლესია უკრაინკას სახელობის,ჩუმატელეთის,ზეკოტის სკვერები და ატრაქციონები).

ქალაქგაფორმებითი პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის გასართობი სივრცეების დეკორატიული გაფორმებები შობა-ახალი წლის ღონისძიებების უზრუნველყოფა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის პროგრამის ფარგლებში ზედამხედველობა გაეწია პროექტების განხორციელებას,შეძენილი იქნას მომავალში განსახორციელებელი პროექტები.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1420,76 ათასი ლარით,რაც გეგმის 99,42 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 1012,59 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, დასუფთავების სფეროში განხორციელდა 97,60 ათასი ლარის კაპიტალური დაბანდება, სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 194,39 ათასი ლარით,ხოლო უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობის მოხმარდა 116,19 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1429,06 | 1420,76 | 99,42 |
| 03 01 | ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა | 1016 | 1012,59 | 99,66 |
| 03 01 01 | ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქის და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებების პროგრამა | 1016 | 1012,59 | 99,66 |
| 03 02 | კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში | 97,6 | 97,6 | 100,0 |
| 03 02 01 | დასუფთავებისათვის სპეცტექნიკის შეძენა | 97,6 | 97,6 | 100,0 |
| 03 03 | მწვანე ნარგაობების, ს მოვლა-პატრონობა, განვითარება | 199,2 | 194,39 | 97,58 |
| 03 03 01 | მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების, დასავენებელი პარკების და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები (ხაშურსერვისი) | 199,2 | 194,39 | 97,58 |
| 03 04 | უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის ხელშეწყობის პროგრამა | 48,27 | 48,2 | 99,85 |
| 03 05 | უპატრონო ცხოველების მოვლა პატრონობა და მათი პოპულაციების მართვა და ხელშეწყობა (ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო'') | 67,99 | 67,99 | 100,0 |

სუბსიდია განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის დასუფთავებისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან განხორციელდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის ქუჩები. განხორციელდა ქალაქისა და მუნიციპალურ ტერიტორიაზე არსებული სკვერების,მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,ასევე წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად გაიცელა დ გაიწმინდა სასაფლაოს ტერიტორია, საერთო ფართი (33 ჰა). დასუფთავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (638 მ²) მიმდებარე ტერიტორია. ქ. ხაშურის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება ქუჩების დაგვა-დასუფთავება სულ 63600 მ² ფართობი მათ შორის ხაშური 48100 მ², დაბა სურამი 15500 მ² . ყოველდღიურად დაგვილი,შეგროვილი და გატანილი მყარი ნარჩენების ოდენობა შეადგენდა სულ 93077 მ³ საშუალოდ 255 მ³. ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხდებოდა მყარი ნარჩენების შეგროვება -გატანა კვირაში ერთხელ,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 1100 ლიტრიანი 857 ნაგვის კონტეინერი (345 ცალი პლასმასის 512 რკინის) 2021 წელს შეძენილ იქნა 200 ერთეული ნაგვის კონტეინერი,გამოიყენება ექვსი ერტეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. უპატრონო და მაწანწალა ცხოველების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანებისათვის ესთეტიკური და უსაფრთხო გარემოს შექმნისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა იზოლირებული ცხოველების მათ შორის პირუტყვის რაოდენობა განსაკუთრებით აგრესიული მაწანწალა ცხოველების რაოდენობის შემცირება მოსახლეობის მოთხოვნაზე რეაგირების ვადა და შემოსული განცხადებების რაოდენობის შემცირება.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2021 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2572,92 ათასი ლარის ოდენობით,რაც გეგმის - 2330,97ათ. ლარის 90,60 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 2255,44 ათასი ლარი, საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 75,53 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 2572,92 | 2330,97 | 90,6 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა | 2476,2 | 2255,44 | 91,08 |
| 04 01 01 | სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია | 14,00 | 0,00 | 0,00 |
| 04 02 | საჯარო სკოლების ხელშეწყობა | 96,72 | 75,53 | 78,09 |

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ 18 სკოლამდელი-სააღმზრდელო დაწესებულებაში რეგისტრირებულია 2000 აღსაზრდელი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 1,49 ლარი შეადგინა. ასევე მოქმედებს 3 ალტერნატიული საბავშვო ბაღი სადაც რეგისტრირებულია ბავშვი იღებს მხოლოდ სააღმზრდელო მომსახურეობას. ყველა ბაღში სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად მოხდა სამფაზიანი ელენერგიის შეყვანა, რათა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით სამზარეულოები გადავიდეს ელექტრო ქურებით სარგებლობაზე.

შუალედური შედეგი

საბავშვო ბაგა-ბაღები სტანდარტის შესაბამისი პირობებითაა უზრუნველყოფილი.

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

2021 წელს რეაბილიტირებულ იქნა ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის პირველი საჯარო სკოლა საერთო ჯამში 167- მდე ბენეფიციარმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი. პროექტი ხელს მოწესრიგებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას განათლების სფეროში.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 3409,08 თასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4633,18 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 73,58 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 1198,12 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 2036,12 ათასი ლარი, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა - 174,84 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა, და სპორტი | 4633,18 | 3409,08 | 73,58 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1484,2 | 1198,12 | 80,72 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 279 | 257,35 | 92,24 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლების ხელშეწყობა | 600 | 470,9 | 78,48 |
| 05 01 03 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა და რეაბლიტაცია | 605,2 | 469,86 | 77,64 |
| 05 01 03 01 | სპორტული კომპლექსის და მოედნების მშენებლობა რეაბილიტაცია | 65 | 49,59 | 76,3 |
| 05 01 03 02 | ქ. ხაშურში სტადიონის მშენებლობა | 540,2 | 420,27 | 77,8 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 2921,08 | 2036,12 | 69,7 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 34,5 | 25,96 | 75,24 |
| 05 02 02 | სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა | 377,26 | 364,9 | 96,72 |
| 05 02 03 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 219,8 | 213,45 | 97,11 |
| 05 02 04 | კულტურის ცენტრების ხელშეწყობა | 1759,16 | 981 | 55,77 |
| 05 02 04 01 | კულტურის ცენტრის, სკვერების რეაბილიტაცია | 566,7 | 158,55 | 27,98 |
| 05 02 04 02 | კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების ხელშეწყობა | 330,63 | 329,88 | 99,96 |
| 05 02 04 03 | საქალაქო კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია | 862,46 | 492,57 | 57,11 |
| 05 02 05 | მუზეუმების ხელშეწყობა | 297,56 | 283,09 | 95,14 |
| 05 02 06 | საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა | 42,8 | 42,58 | 99,47 |
| 05 02 07 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 190 | 125,15 | 65,87 |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭრა | 227,9 | 174,84 | 76,72 |

პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები. ,,ქვეყანაში გავრცელებულმა ჩ VI -19 ვირუსის გავრცელების გამო შეიზღუდა აღნიშნული ღონისძიებების განხორცილება,

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ჩატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა მიიღეს რაიონის ახალგაზრდებმა

შუალედური შედეგი

პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობის ზრდა სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებში მიღწევების მქონე პერსპექტიულ სპორტსმენთა წარმოჩენა.

ა) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვის და პოპულარიზაციის, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარების მიზნით. დაფინანსდა შედეგი ღონისძიებები.

შუალედური შედეგი

ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა; კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;

კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა. მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია

ასევე მიმდინარეობს პროექტის ქალაქ ხასურში სტადიონის მშენებლობა, რომელიც დასასრულებელია და შესაბამისად 2021 წლის ნაშთი მიმართულ იქნა პროექტის დასრულებისათვის. ხოლო პროექტი ქალაქ ხაშურში კულტურის სახლის რეაბილიტაცია ვერ დასრულდა შესაბამისად საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშში პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა, რადგან აღემატება 30%-ს განვმარტავთ პროექტის განხორციელება მიმართული ნაშთიდან დაიგეგმა 2022 წელს. ასევე 30% შეუსაბამობაა რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების პროგრამულ კოდში, რამდენადაც აღნიშნული თანხის ათვისება ვერ მოხდა ობიექტური ქვეყანაში გავრცელებულმა COVID-19 ვირუსის გავრცელების ხელისშემშლელი პირობების და სხვა მიზეზების გამო.

6) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 96,02%-ით (გეგმა 1249,04 ათასი, ფაქტი 1199,28 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 106,05 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 1093,23 ათასი ლარი.

| კოდი | პროგრამის დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1249,04 | 1199,28 | 96,02 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 107,9 | 106,05 | 98,28 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 1141,14 | 1093,23 | 95,8 |
| 06 02 01 | ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა | 0,5 | 0,5 | 100 |
| 06 02 02 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა | 38,2 | 35,84 | 93,83 |
| 06 02 04 | მუნიციპალიტეტის დასახლებებში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები | 30,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 02 05 | ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარებები ომსი დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები | 15,6 | 15,6 | 100,0 |
| 06 02 06 | საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისძიებები | 12,0 | 11,66 | 97,18 |
| 06 02 07 | სარიტუალო მომსახურება | 5,5 | 5,25 | 95,45 |
| 06 02 08 | უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოთი უზრუნველყოფა | 124,89 | 124,89 | 100,0 |
| 06 02 09 | მთიანი სოფლის საჯარო სკოლებს პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა | 18,38 | 18,39 | 100,0 |
| 06 02 10 | მოქალაქეთა სოცილური დაცვა | 896,06 | 881,11 | 98,33 |

პროგრამის მიხედვით განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური პირობების კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ შესაბამის ობიექტებზე.

მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამდენად მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის შესაბამისად ისარგებლა 272 ბენეფიციარმა, ომის მონაწილე ვეტერანების 3 ბენეფიციარმა, ომის ვეტერანთა ოჯახების პროგრამით 49 ბენეფიციარმა, სარიტუალო მომსახურეობით (ლტოლვილი, უპატრონო, ომის ვეტერანები) 21 ბენეფიციარმა, ასი და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარება 1 ბენეფიციარმა, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სწავლის საფასურის თანადაფინანსება 63 ბენეფიციარმა,მკურნალობისატვის მედიკამენტების შესაძენად 406 ბენეფიციარმა, სამედიცინო დახმარება 620 ბენეფიციარმა.

7) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლები;

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ზ) პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად „ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ზ1.გ" და „ზ2.გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლები შემდეგია გეგმა 6497,47 ათასი ლარი, ფაქტობრივი, საკასო ხარჯი 6097,66 ათასი ლარი (93,85%) (ხოლო ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 53.12%, მთლიან ბიუჯეტში 23,99%) (დანართი თან ერთვის)

ამრიგად ხაშურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსმა ხაშურის მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის,ღონისძიებების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების და ღონისძიებების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ლელა მაჭარაშვილი,

15,11,2021 წელი

# შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების ორგანიზებით უკრაინელი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული ტვირთი გროვდება.

რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის მიერ ჰუმანიტარული დახმარებისთვის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური რესურსი გამოიყო.

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ვალერიან მჭედლიძის თქმით,მუნიციპალიტეტებში აქტიურად მდინარეობს ჰუმანიტარული კამპანია. "რეგიონში მცხოვრებ თითოეულ მოქალაქეს თუ ბიზნესის წარმომადგენელს შეუძლია უკრაინელი ხალხის დასახმარებლად სხვადასხვა ჰუმანიტარული ნივთების შეგროვება." - აღნიშნა რწმუნებულმა.

აღსანიშნავია, რომ გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები დამეგობრებული არიან უკრაინის შემდეგ ქალაქებთან - პავლოგრადი, ვასილკოვო, მელიტოპოლი, ნოვოგრად-ვოლინსკი და ობუხოვი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს აქტიური კომუნიკაცია აქვთ ამ ქალაქების წარმომადგენლებთან და ჰუმანიტარული ნივთებიც მათი საჭიროებების მიხედვით გროვდება.



ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას უკრაინის შესაბამის ოლქებსა და ქალაქებში საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს.



დღეს მთელი მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენაა მიმართული. დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა უკრაინელად იქცა. რუსეთის იმპერიული ვნებები ზენიტში ავიდა და ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე ეწირება ლუციფერის გიჟურ ახირებებს. კარგა ხანია მსოფლიო ასეთი ერთიანი არ ყოფილა (თუ ყოფილა საერთოდ. (უკრაინის დროშის ფერებად შეიღება სამყარო. ყვითელი და ლურჯი დომინანტ ფერები გახდა მსოფლიოსთვის. უკრაინა მხოლოდ უკრაინისთვის არ იბრძვის-მთელი პლანეტისთვის იბრძვის. ასეთ ერთიანობას კი ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს. ბოროტება მოიშთობა, თავისივე სისხლში ჩაიხრჩობა და უკრაინის თავზე ისევ აბდღვიალდება მზე, ყვითელი, ხასხასა მზე. ლუციფერს კი, ვერავითარი სამალავი ველარ უშველის-ის აუცილებლად მოხვდება სამსჯავროზე და მსოფლიო აუცილებლად იხილავს ნიურნბერგის პროცესის ერთგვარ გაგრძელებას!

დიდება უკრაინას!

დიდება გმირებს!

## კორონავირუსის ვაქცინაციის წახალისების პროგრამა მარტის თვეშიც გრძელდება

200 ლარიან ერთჯერად დანამატს ავტომატურად მიიღებს 50 წლის და მეტი ასაკის ყველა ის მოქალაქე, ვინც 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის პირველი დოზით აიცრება.

ამავე ასაკობრივი ჯგუფის პირები „ბუსტერ“ დოზით აცრის შემთხვევაში 100 ლარს მიიღებენ.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია, თვის განმავლობაში ორჯერ მიეწოდება და ინფორმაციის მიღებიდან მომდევნო 5 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს მოქალაქისთვის თანხის ჩარიცხვას.

ერთჯერადი დანამატის ჩარიცხვა „ლიბერთი ბანკთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, მათსავე ანგარიშზე მოხდება.

რაც შეეხება იმ მოქალაქეებს, რომელთა ასაკი საპენსიო ასაკს არ მიეკუთვნება, სოციალური მომსახურების სააგენტო, „ლიბერთი ბანკთან“ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშებს თავად გაუხსნის.

ვაქცინაციისთვის ვიზიტის დაჯავშნა შესაძლებელია ელექტრონულ პორტალზე - https://booking.moh.gov.ge/

აცრა შესაძლებელია წინასწარი რეგისტრაციის გარეშეც.

COVID - 19-ის ვაქცინაციაზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული კონსულტაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ - 144-3 და 15 22-ს



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.